MES 2 15 00057609

29/01/2015

ძველი თბილისის რაიონის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ეკატერინე ხუციშვილს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2015 წლის 27 იანვრის №53281 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლის მიერ საკვები პროდუქტების (სავარაუდო ღირებულება – CPV15100000 - 770,00 ლარი; CPV15800000 - 105.00 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლამ განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,